სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესსა და პირობებს.
2. დებულება ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებას" და სხვა შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტი, ან პირი, რომელსაც სურს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე გადის შემოქმედებით ტურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.
2. შემოქმედებით ტურში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტი გადის ელექტრონულ რეგისტრაციას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით.
3. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილი ელექტრონული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, აბიტურიენტებს შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში შესაძლებლობა მიეცემათ გაიარონ დამატებითი რეგისტრაცია.
4. იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).
5. შემოქმედებით ტური შესაძლოა იყოს ფასიანი, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 3. შემოქმედებითი ტური

1. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე შემოქმედებითი ტურის ჩატარებას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გამოცდა ჩატარდება რექტორის ბრძანებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

3. დავალება, შეფასების კრიტერიუმები და სხვა პრობები ყოველწლიურად განისაზღვრება არქიტექტურის დარგობრივი კომისიის მიერ, გაიწერება ბრძანების სახით რეგისტრაციის ვადებთან ერთად და საჯაროდ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
4. შემოქმედებითი ტურის მიზანია, აბიტურიენტთა შემოქმედებითობის, სივრცითი აზროვნების, სამგანზომილებიანი სივრცის აღქმისა და ვიზუალურად გადმოცემის უნარების გამოვლენა და შეფასება.
5. ტურის ფარგლებში, აბიტურიენტებს დაევალებათ წინასწარგანსაზღვრული დროისა და რესურსების გათვალისწინებით შეასრულონ დავალება, რომელიც წარმოაჩენს მათ უნარებსა და შესაძლებლობებს. კერძოდ, აბიტურიენტები დავალებებს შეასრულებენ შემოქმედებითი ტურის კონცენფციის შესაბამისად. შემოქმედებითი ტურის პირობები წინასწარ იქნება განსაზღვრული რექტორის ბრძანებით.
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო სივრცეებში გამოცდის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება.
7. გამოცდის წესების დარღვევის შემთხვევაში აბიტურიენტს მიეთითება წესების დაცვის აუცილებლობაზე და მიეცემა გაფრთხილება. მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში აბიტურიენტი მოიხსნება გამოცდიდან. საგამოცდო წესების უხეში დარღვევის ან სხვა პირების შეურაცხყოფის შემთხვევაში აბიტურიენტი გაფრთხილების გარეშე მოიხსნება გამოცდიდან.
8. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე "არქტიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" შემოქმედებითი კონკურსის ქულებს არ ენიჭება კოეფიციენტები და ისინი არ იქნება გათვალისწინებული რანჟირებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად.
9. შემოქმედებით ტურზე გამოუცხადებელ აბიტურიენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ტურის ჩატარება, თუ მან უნივერსიტეტის მიერ დადგენილ დროს ვერ შეძლო გამოცდაზე გამოცხადება:
ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში არანაკლებ ერთი დღე-ღამით ყოფნის შემთხვევაში;
ბ) ოჯახის წევრის (მეუღლე, დედა, მამა, და-ძმა, შვილი) გარდაცვალების გამო;
გ) დაუძლეველი ძალის გამო.
10. გამოცდაზე გამოუცხადებელმა აბიტურიენტმა სტაციონარულ დაწესებულებაში ყოფნის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების და ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტში ტურის დასრულებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
11. თუ აბიტურიენტმა დაუძლეველი ძალის გამო ვერ შეძლო დადგენილ ვადაში ტურზე გამოცხადება, იგი ვალდებულია ტურის დასრულებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტში წარმოადგინოს დასაბუთებული განცხადება და, არსებობის შემთხვევაში, განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. შემოქმედებითი ტურის შეფასება
1. შემოქმედებითი ტური ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) კრეატიულობა (შემოქმედებითობა და თავისუფალი აზროვნება);
ბ) იდეის სივრცითი გადმოცემა (სივრცითი აზროვნება, სამგანზომილებიანი სივრცის აღქმა და ვიზუალურად გადმოცემა);
გ) ტექნიკური გამართულობა (ნამუშევრის შესრულების ტექნიკური სისრულე);

დ) კონცეფციის (განმარტებითი ბარათის) შინაარსობრივი მხარე (სიცხადე და შესაბამისობა შესრულებულ ნამუშევართან);
ე)კონცეფციის ტექნიკური გამართულობა (ენობრივი და სტილისტური გამართულობა).

2. თუ აბიტურიენტი ზემოთ წარმოდგენილ ხუთივე კრიტერიუმში მიიღებს შეფასებებს: „მისაღები“ ან/და „ნაწილობრივ მისაღები/დამაკმაყოფილებელი“, მას შემოქმედებითი ტური ჩაბარებულად ჩაეთვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ ერთ კომპონენტში მაინც მიიღებს შეფასებას: „მიუღებელი“), აბიტურიენტი ეთიშება კონკურსს.

მუხლი 7. შემფასებელი და სააპელაციო კომისიები

1. მე-4 მუხლით გათვალისწინებული კონკურსის და გამოცდის შეფასების მიზნით, ასევე საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით არქიტექტურის დარგობრივი კომისიის წარდგინებით, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ყოველწლიურად იქმნება შემფასებელი და სააპელაციო კომისია.
2. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული შემფასებელ კომისიაში .
3. შემფასებელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ⅔.
4. შემფასებელი კომისია გადაწყვეტილებას იღებს შემოქმედებითი ტურის კონცეფციაში მითითებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

მუხლი 8. საბოლოო შედეგები

1. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი შესაბამისი წლის 20 ივნისამდე ასრულებს შემოქმედებით ტურს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს და არაუგვიანეს 25 ივნისისა მიღებულ შედეგებს უგზავნის რექტორს.
2. კონკურსის შედეგების შესახებ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:
ა) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

გ) აბიტურიენტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;

დ) კონკურსზე მიღებული შეფასება

ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

3. კონკურსის შედეგები იგზავნება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი წლის 30 ივნისამდე.